№ 605 ოთხშაბათი, 12 აგვისტო. 1896—1898 ოთხშაბათი, 12 აგვისტო. № 605

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და სალამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.



☞ კურსი 15 მანეთი ☜

1-ლი ენკენისთვიდან ვასწავლი თეთრეულის ჭრა-კერვას ხელზედ
სრულ კურსს ქსოვას და ქარგვას
მსურველთა მიმართონ ... სამხატვრო ...
ქალ. ... ელისაბედ ჯავახიშვილს.
იქვე იღებენ ... ხელსაქმის.
(6—5)

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—15) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна

პანსიონი და სასწავლებელი
ნ. დიდებულიძისა
გადავიდა ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და სადამოთი 5—7 საათ.

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
I. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—39)

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საზუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—24)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. სალამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—37)

ექიმი
ე. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და სადამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чикованн
Михайлов., № 16.

იყიდება
„ცნობის ფურცლის" რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:

| | | |
|---|---|---|
| თავ. ილია ჭავჭავაძე | 2 | კ. |
| ალექსანდრე ეპისკოპოსი | 3 | „ |
| სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე | 2 | „ |
| პატარა ბიბლიოთეკა | 2 | „ |

ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას. (30—2)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას

და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საესთვის.
სამკურნალო დირექტორი ხ. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** **ქართული რეპერტუარი.** ჩვენს ნიჭიერს მსახიობს ვასილ აბაშიძეს დამდეგი სეზონისათვის გადაუთარგმნია ორი პიესა, ერთი სუნდუკიანცის ხუთ-მოქმედებიანი კომედია „კიდევ ერთი მსხვერპლი“ და დეკურსელის მელოდრამა „ორი ჯიბგირი“. ამ უკანასკნელ პიესას ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

*** **სათავად-აზნაურო თეატრის საქმე.** როგორც მკითხველებმა უწყიან, სათავად-აზნაურო თეატრი ამ ჟამად დაკეტილია, რადგან სატეხნიკო კომისიამ იგი იცნო საშიშრად ცეცხლისაგან, ხოლო თავად-აზნაურთა გამგე კომისიას გადაუწყვეტია თეატრის შეკეთება თანახმად ოქმისა. თეატრი მზად იქნება წარმოდგენებისათვის აგვისტოს 25-ში.

*** **ექიმას გადაყვანა.** ჩვენ გვატყობინებენ თიანეთიდან, რომ ჩვენი ახალგაზდა ექიმი ბ-ნი ლ. ჯავახიშვილი, რომელიც აგერ ოთხი წელიწადია თიანეთში მსახურებდა პირ-ნათლად და მდაბიო ხალხის სასარგებლოდ, ამ ცოტა ხანში გადაჰყავთ თელავშიო. უეჭველია, ახალ ადგილშიაც ახალგაზდა ექიმი ჩვეულებრივ სიმხნევეს გამოიჩენს.

*** **ნავთის წყაროები.** გაზ. „კასპში“ სწერია, რომ კნ. გაგარინისას (ი. ერისთვის ქალი) თავისი ნავთის მადნები მიუყიდნია აზოვის ბანკისათვის ერთ ნახევარ მილიონ მანეთად.

*** **სია ქალაქ ფოთის ამომრჩეველთა** უკვე დაბეჭდილია გაზ. „ქუთაისის უწყებაში“. ამ სიიდან სჩანს, რომ ამომრჩეველებთა რიცხვი სულ 313, მათ შორის ქართველობა—216. რუსები, პოლონელები, გერმანელები და ებრაელები 64, სომხები 18, ბერძნები 10 და სხვა და სხვა დაწესებულებანი 5.

*** **უმაღლესი სასწავლებლები.** როგორც რუსულ გაზეთებში სწერენ, კავკასიაში და საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების დაარსების საქმე ამ წლის დამლევს გადასწყდებაო.

*** **გაჩნამიანიდგან** გვატყობინებენ, რომ იქ გაუმართავთ უფასო ქართული წარმოდგენა გლეხებისათვის. წარმოდგენას 300 კაცი დასწრებია. წარმოდგენის შემდეგ შეუკრებიათ 110 მან. და 45 კ. ერთი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოთ.

*** **სეტყვა კახეთში.** სს. ანტანში, ქისტაურში, ზემო ხოდაშენში, აწყურში, იყალთოში, თალლაურში, რუისპირში და არტანში ყველა ვენახები დაუსეტყვავს. ძალიან დასეტყვულია, სს. აწყური და ზემო ხოდაშენი. ამავე სეტყვამ გააფუჭა ვენახები ტფილისის მაზრის სოფლების ანტოქის, გომბორისა და თოხლიაურისა.

*** **სომხების სკოლების ამბავი.** ტფილისის გუბერნის საერო სასწავლებლების დირექტორს ბ-ნ გროზდოვს დაუმთავრებია სომხეთა საეკკლესიო სკოლების ქონებისა და მამულების ჩაბარების საქმე. როგორც აღმოჩნდა, ამ სკოლებში დიდი უწესოება ყოფილა, რის გამოც დაკარგულა 800,000 მან. მეტი ფულად და ნივთეულობად. ჯერ არა სჩანს, ვის ედება ამ დანაშაულის ბრალი.

*** **სომხური სკოლა საიდუმლოდ.** პოლიციის მეშვიდე ნაწილის ბოქაულმა აღმოაჩინა საიდუმლო სომხეთა სასწავლებელი, რომელიც იმყოფებოდა თურმე ავლაბარში, ლაზარევის ქუჩაზე, თათუზოვის მე-75 №-ის სახლში. ამ სასწავლებელში ბოქაულმა შეასწრო 30 მოსწავლეს, რომელნიც წლოვანებიდან 7-დან 15 წლამდე იყვნენ. სასწავლებელი ჰქონდათ დაარსებული ძმათა არსენ და ვარლამ ზაქარიას ძეთ სიმონიანცებს. ამათგან პირველს განუცხადებია, რომ სომხეთა ნერსესიან სემინარიაში დავამთავრე სწავლაო, ხოლო როდესაც ბოქაულს მოუთხოვნია, წარმომიდგინეთ სწავლის დამთავრების მოწმობაო, ვერ წარუდგენია; მეორეს კი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოში უმუშავნია წინად. ამათ უსწავლებიათ მოსწავლეებისათვის: „სომხეთის ისტორია“, გეოგრაფია, სომხური ენა და სუფთა წერა რუსულად. წიგნები და რვეულები დაბეჭდილია, სასწავლებელი დაკეტილია, და ჯეროვანი ოქმია შედგენილი, რომელიც ბ-ნს ტფილისის პოლიცმეისტერსა აქვს წარდგენილი. („ივერ“).

*** **დაღისტანი.** **ქართველ მუშების გამო.** სადაც უნდა წახვიდეთ და რომელს მხარეს, არ იქნება, რომ ქართველი კაცი არ შეგხვდეთ, მაგრამ რამდენი ქართველიც დაღესტანშია, იმოდენა რიცხვს ქართველებისას-კი ვერა მხარეს ვერ შეხვდებით. აქ დაღისტანში უმეტესობას თვალ-საჩინო ადგილები უჭირავთ სამსახურში, თუ ვაჭრობაში. საქართველოდან გამოსული ხალხი და დაქსაქსული აქა-იქ უფრო გლეხობაა, ჩვენს ქვეყანაში უქონლობას რომ შეუწუხებიათ, სხვაგან უცხო მხარეს უპოვიათ სულის სიმშვიდე და ცხოვრების სახსარი. ამ დროს-კი ჩვენი მაღალი მებატონენი „ჰარიალალოს“ გაიძახოდნენ შინ და წყნარად შეექცეოდნენ მამა-პაპეულს ნაანდერძევს. თურმე ნუ იტყვით, რაიც მოსალოდნელიც-კი იყო, ზოგიერთ ვაჟბატონთ, განცხრომის ძეთა, თავიანთ მომავალ ძეთათვის ხარისხი-ღა უანდერძნიათ და ეს ხარისხოვანი ყმაწვილები, მოუმზადებელნი ცხოვრების ავ-კარგიანობის გატანაში, გამოურბიან თავიანთ სამშობლო ქვეყანას ლუკმა პურის მოსაპოვებლად. „ავი არ მაკადრიან, კარგი არ მაღირსიანო“ ზედ გამოჭრილი ანდაზაა სწორედ.

აქ დარუბანდის ახალ რკინის გზაზე ბევრს შეხვდებით ამგვარებს, მოდიან და სამუშაოს გვთხოვენ—გაჭირვებულნი ვართ და რამ საქმე მოგვეცითო.

— პასპორტი გაქვს?—ეკითხება უფროსი.

— დიახ ბატონო,—არის პასუხი და წარუდგენს უვადო წიგნაკს.

— თავადი! ანუ ტახტის აზნაური! შეკრთება უფროსი—ამ ამოკითხვით—ერთს თავიდან ბოლომდის კიდევ ახედ-ჩახედავს და უკმაყოფილოთ ეკითხება:

— რა ადგილი გინდა? რა საქმე შეგიძლიან—წერა-კითხვა ხომ კარგი იცი, ან სად დაგიმთავრებია სწავლა?

— არ მისწავლია ბატონო არსად სკოლაში და არც სახლში შეუსწავლებიათ.

— მაშ რა საქმეს ეძებ?

— დღიურ მუშისას.

— დღიურ მუშისას!—უკეთესი იქნება, რომ მიხეილ ნიკოლაიჩს მიჰმართოთ, იმისთვის საჭიროა მუშა. და იშორებს თავიდან, რა ატყობს, დარწმუნებულიც არის, რომ მისი ღირსება ჩვეულ არ არის დღიურ მუშაობას.

აქ ბევრს შეხვდებით „არა დღიურ მუშაობისათვის დაბადებულთ“ და უვიც მშობლების სიამაყით დამდაბლებულთ თავადებს და კარგ აზნაურშვილებს და სხვ.

ღმერთმა ხელი მოუმართოთ—შრომა შეაყვაროთ და ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ, რომ შრომა, შრომა და შრომაა ჩვენის ხსნის სახსარი და გულ-მოდგინე შრომა აღგვიყვანს მაღალ წერტილამდე.

ვინმე ტეხნიკოსი

*** **დ. ხონი** (იმერეთი). **საქალებო პროგიმნაზია.** დღეს ხონი შეადგენს საუკეთესო კუთხეს ქუთაისის მაზრაში. აქ არის მრავალი სასწავლებლები, რომლებსაც ეხლა კიდევ მოემატა ქ-ნი ელენე ლუკა ბახტაძის ასულის საკუთარ-შრომით ერთი საქალებო სასწავლებელი, პროგიმნაზია, რომელიც საკუთარ სახლში აქვს მოთავსებული და საკუთარ ხარჯით ინახავს. არ იქნებოდა ურიგო, რომ ამ პატიოსან შრომის მოყვარე ადამიანს, ჩვენმა საუკეთესო მამულიშვილებმა ყურადღება მიაქციონ და იმით გაუადვილონ პირველი დასაწყისი.

*** **დ. ყვირილა.** **წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება.** მადლობა ღმერთს, ძლივს იქმნა და გვეღირსა დაბა ყვირილაში სამკითხველოს დაარსება, რომლის ნებართვა მიიღო ბ. ს. ელიაშვილმა და, რომელიც აკურთხეს კვირას 2 აგვისტოს, ამ დღესაც საზოგადოებ[illegible] იყო მოწვეული, რომ მსურველ[illegible] წევრებათ ჩაწერილიყვნენ, მაგრა[illegible] სამოცი კაცის მაგივრად, რომლებიც ბარათებით იყვნენ მოწვეულნი თხუთმეტ კაცამდე ძლივს დაესწრო, რისთვისაც საყვედურის ღირსნი არიან. საზოგადოთ ჩვენ სამკითხველოს ჯერ-ჯერობით ბევრი თანამგრძნობლები ჰყავს სიტყვით, მაგრამ საქმით ვინ იცის რა იქნება.

თავისუფალი

*** **ს. კოლაკი.** **ჩხუბი თავგაჩნამეებში.** ამ თვის შვიდს რუს წყლისათვის ჩხუბი მოსვლიათ თავ. ილიას, გრიგოლს, მიხეილს და ივანე ონანო—ვაჩნაძეებს. ორ მათგანს ილიას და გრიგოლს თავები აქვთ დამტვრეული, ხოლო მიხეილ ვაჩნაძე დაჭრილია ხელში ბერდანის თოფით.

*** **თელავი.** **ხარჩების ოინები.** დადგა აგვისტო თუ არა, თელაველი დალალებიც დაფაცურდნენ და იძახოდნენ: „ეხლა-კი აღარა გვიშავს რა, მოვიდა საზამთრობა და ეხლა ჩვენ ვიცით ჩვენი ჯიბეების გასქელებაო“. მართლაც ისინი არა სტყუოდნენ. სოფლელები, რომლებსაც ალაზნის პირას აქვთ მიწები, პურს არა სთესავენ და იმის ნაცვლად ბაღი მოჰყავთ. ჯერ ისევ შემოდგომაზე მოხნავენ და

ისე. სტოვებენ ზამთარში, მერე კიდევ გაზაფხულზე დასთესავენ და დაფარცხავენ. ამოვა თუ არა ბალი, ერთი კაცი უნდა წავიდეს და უყარაულოს, რომ საქონელი არ შევიდეს და არ გააფუჭოს; ორჯერ ან სამჯერ წყალი უნდა მიუგდოს და მორწყას, სამჯერ და მეტჯერ უნდა გამარგლოს, თორემ ბალახი მოერევა და გააფუჭებს. გამოვა თუ არა ბალი ყვავილში და თვალი რომ შევა, აქაური ჩარჩებიც იქვე დაიბადებიან. იყიდიან თითო ურემს, რომელზედაც ორასიდამ თითქმის სამასამდი საზამთრო უდევს, 10—12 მანეთად ამოიტანენ თელავში და მამა-სისხლათ ჰყიდიან, თითო საზამთრო ერთი ერთმანერთზე 5 კაპიკი არც-კი უჯდებათ და ისინი კი 8–20 კ. ჰყიდიან. თუ ესე თელავში ვერ გაიყიდა, მესამე დღეს მოუსვამენ და ტფილისში გზავნიან. მაგრამ ზოგი, ვინც ადგილობრივ ვერ ჰყიდის, დაჰკრეფავს, დაუდებს ურემზე და თელავში ამოიტანს გასასყიდად. ჯერ თელავში არც კი იქნება შემოსული, რომ დახვდება თვით მმართველობის მებაჟე სტეპკუა და ორ შაურს გამოართმევს; თუ ფული არ ექნება, მაშინ ან შინელს გაჰხდის და ან შოლტს წაართმევს და თუ გაუქირვეულდა და არ მისცა, შეუკურთხებს კიდეც: „მომეცი ჩქარა შე მა.... ძ.... მარტო შენთვის ხომ არ არის ზაკონი, ეხლავე დაუძახებ „გარადოვოის“ და პოლიციაში ჩაგაგდებინებო“. გლეხი ასეთი სიტყვების გაგონებაზე შინდება, იხდის შინელს და აძლევს, მინამ გაჰყიდის საზამთროს და გამოიხსნის. მერე შემოიტანს ურემს თელავის რიყეში, იქ კიდევ დახვდებიან ჩვენი ცნობილი ჩარჩები. თითო კაცი ავა ურემზე და ეხლა იმას ეკითხება ამისი გაყიდვა. მივა მოვაჭრე და რამდენიც უნდა შეაძლიოს, გამოართმევს ფულს დალალი, მივა გლეხ-კაცთან და ძალათი ხელში უდებს, თუ გლეხი ძალიან უარზე დადგა, მაშინ ჩარჩი მივა მოვაჭრესთან და ეტყვის: „პატარახან წადი, მოველაპარაკები და მოვაცემინებო“, ვიდრემდის მოვაჭრე წამოვა, ჩარჩ-დალალი თავისი ეშმაკური და გამოქნილი სიტყვებით ელაპარაკება და გლეხკაცს დაიყაბულებს. მერე ის მოვაჭრე მივა და როგორც თითონ უნდოდა, ისე ჩაიგდებს ხელში. მერე როცა დასაცლელად მიიტანენ, დალალი დასთვლის და ოცის თავი უნდა მისცეს, ე. ი. რამდენიც ოც დასთვლის, იმდენი 1 საზამთრო უნდა მისცეს უფასოდ მყიდველს. როცა საზამთროს დალალი გამოართმევს მყიდველს ფულს, თითონ ათ შაურს ან ორ აბაზს აიღებს და დანარჩენ პატრონს მისცემს. მყიდველი კი ან 30 კაპ. აჩუქებს ან 20 კ. გლეხი კაცი თითქმის მთელი ზაფხულობით ამ საქმეზე არის. ხშირად იმის მოვლაში და მორწყვაში ბევრნი ცივდებიან, ავად ხდებიან და ზოგნი სიცოცხლესაც კი ესალმებიან ხოლმე და აი ასე ბევრნი თავიანთ ჯაფის ფასსაც ვერ იღებენ. საჭიროა თელავის თვით-მმართველობამ ყურადღება მიაქციოს თელავის დალალებს და მოსპოს იმათი ასეთი საქციელი.

თელაველი

## რედაქციისაგან

**ნაგომარში** ს ე რ გ ო ს. წარმოდგენაზე ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი წერილი.

**ტფილისში** ივ. მ—ძეს. თქვენი წერილი სამტრედიის ბოქაულზე ვერ იბეჭდება, რადგან ქებასა და სოტბა-შესხმას საზღვარი არა აქვს.

**მანასში** (დაღესტანი) ტ ე ხ ნ ი კ ო ს ს. წერილი მთვრალ დედაკაცზე და «орелъ» კონდუქტორზე ვერ დაიბეჭდება.

## ეგზარხოსი ფლაბიანე გორის მაზრაში

$4^1/_2$ საათზე რკინის გზის სადგური გრაკალი გაიჭედა ხალხით. შეიკრიბა მთელი ჩვენი მაზრის თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა, სამსახურის ხალხი და სხვ. ამ დღეს მოელოდნენ საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს, რომელიც მოწვეულ იყო ს. მეტეხის ახლად გაკეთებულ ეკლესიის კურთხევაზედ. დანიშნულს დროზე მოვიდა მატარებელი და ხალხიც აღტაცებით მიეგება ძვირფასს და სანატრელ სტუმარს. ხელზე ამბორება გაგრძელდა ნახევარ საათზე მეტი. დამსწრეთა შორის იყვნენ თავმჯდომარე კომისიისა ივ. დ. სულხანიშვილი, მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ი. ი. დრაჩევი, ეკლესიის აღდგენის მთელი კომისია, პროფესორი ა. ს. ხახანაშვილი, წარმომადგენელნი მაზრის ყოველ კუთხეებიდან, დირექცია სამინისტრო სკოლებისა და სხვ. ეგზარხოსს ახლდნენ: ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი, სემინარიის რექტორი ჰერმოგენი და მღვდლები: ნანობოვი, რუსიშვილი, თოთიბაძე, ცინცაძე და სხვანი, აგრეთვე საკუთარი მგალობელთა გუნდი. აქედან ადრევე მომზადებულ ეტლებით გასწიეს სოფ. მეტეხში და პირდაპირ სობოროში მივიდნენ, სადაც მეუფემან გადაიხადა ღამის ლოცვა ცისკარით. მის მეუფებას თავის მხლებლებით სადგომი დაუმზადეს სოფლის სკოლის ოთახებში, სადაც ღამეც გაატარეს.

მეორე დღეს ხალხის აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ხალხი თანდათან მოემატა და დილის 9 საათისვის ეკლესიის ვეებერთელა გალავანი სულ გაიჭედა. შეიკრიბნენ მთელი მაზრის ყოველ კუთხეებიდან თავად-აზნაურნი, ქართველნი ქალნი უგანათ. კნეინა ელენე გრუზინსკისა, ჩვენი მწერალი ქალი კნ. ნინო ორბელიანისა და სხ.

წირვა დაიწყო 9 საათზე მთავრის კარგარეთელის დახმარებით. გალობდა სამი ხორო: ეგზარხოსისა, დიაკვნებისა და სემინარიის მოწაფეებისა. დასასრულ წირვისა მღვდელმა რუსიშვილმა წარმოსთქვა სიტყვა ქართულად, რომელშიაც აღნიშნა მოკლეთ, რა მნიშვნელობა აქვს ეკლესიას და დახატა გარკვევით მთელი ისტორიული წარსული ჩვენი სარწმუნოებისა. ადგილობრივმა მღვდელმა კვიჟინაძემ წაუკითხა მთელს კრებას ისტორია მეტეხის სობოროსი:

„მეტეხი არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს საეკკლესიო უბანს, სადგომ ეზოს, ხოლო ხალხი განმარტებს, რომ მეტეხი ნიშნავს „ფიცის დარღვევას“. მეხუთე საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს არის ეს ეკკლესია აშენებული შემდეგის მიზეზით: ოსების სამეფოს გმირმა ბაღათარმა ვახტანგის დედას სთხოვა ქალი ცოლად, რაზედაც უარი მიიღო. ვახტანგი მაშინ სულ ხუთის წლისა იქნებოდა. ბაღათარმა ამისთანა უარი შეურაცხყოფად მიიღო და გაჯავრებული დაეცა საქართველოს, გაანადგურა და თავისი სატრფიალო, ვახტანგის დაჲ მოიტაცა, წაიყვანა ოსეთში და ხასათ დაისვა. გორგასლანმა, როგორც პატარამ, არა იცოდა-რა ამისი, მან ეგ ყოველივე გაიგო მხოლოდ ბოლოს, როცა წამოიზარდა. გაიგო თუ არა ესა, ველარ მოითმინა და ჩაისახა გულში უთუოდ თავის დის განთავისუფლება და აღსრულებაშიაც მოიყვანა. ადგა და წერილი მისწერა თავის დას, რომელშიაც ატყობინებდა, რომ მას ჰსურს ბრძოლა ბაღათართან და სურს თავის დის განთავისუფლება. დამ მოსწერა პასუხად, რომ ბაღათარიანთან ბრძოლა მისთვის ძალიან საძნელოა, რადგანაც იგი ძალიან მძლავრია და არა ერთი გმირი დაუმარცხებია; ზედაც დაუმატა, რომ გორგასლანი აჯობებს მას მხოლოდ ხერხიანის შვილდისარის სროლით, მხოლოდ უნდა დაუმიზნოს იღლიაში, რაზედაც საფარი არა აქვს. რა ეს შემოთვალა, გაიგო თუ არა გორგასლანმა, მაშინვე შეუთვალა ბაღათარს, რომ სურს მასთან შურის ძიებისთვის შებრძოლება. ბაღათარს ამისთანა ამაყური და გაბედული ქცევა გორგასლანისა გაუკვირდა და პირველად არც კი დაიჯერა, ეგონა მეხუმრებაო, მაგრამ გამოჩნდა, რომ ხუმრობა არ იყო. დანიშნეს ბრძოლის დღე და ერთ დღეს შეიყარნენ სოფ. მეტეხთან, მტკვრის ორთავე ნაპირებზე იდგნენ და ისე სროლით იბრძოდნენ, მაგრამ დაიღალნენ და ვერა დააკლეს-რა ერთმანეთს. ბოლოს ბაღათარმა მეორე ნაპირიდან დაუძახა გორგასლანს და სთხოვა: „ნება მომეცი მაგ ნაპირზე გადმოვიდე და გადმოსვლის დროს ფიცი მომეცი, რომ ხელს არ მახლებ და არ მომკლავ; გადმოვალ და შევიბრძოლოთო!“ გორგასლანმა შეჰფიცა, რომ ხელს არ გახლებ წყალში გადმოსვლის დროს და დაუმატა, რომ ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ერთმანერთს ბრძოლით დავეტაკებითო. ბაღათარი შემოცურდა წყალში თუ არა, მაშინათვე ვახტანგმა ესროლა შხამიანი ისარი და იქვე სული დაალევინა. გახარებულმა და გამარჯვებულმა გასწია ოსეთში, აიკლო იქაურობა, გაანთავისუფლა თავისი და და ჩამოიყვანა დედა-ქალაქ მცხეთაში. ეს დღე მთელმა საქართველომ დიდის აღტაცებით იდღესასწაულა. გავიდა რამდენიმე დღე და ვახტანგს ჯავრისაგან სევდა მოაწვა, რადგანაც თავის თავს ღმერთთანაც და ბაღათართანაც ფიცის გატეხისათვის დანაშაულათა გრძნობდა, რისთვისაც მოინდომა უთუოდ როგორმე თავისი ცოდოები მოენანებინა. შეუთქვა უფალს, რომ რამდენიმე ტაძარს აგიშენებო და დანაშაული მაპატიეო. ეს შეთქმა მალეც მოიყვანა სისრულეში და ააშენა ოთხი ტაძარი: დასავლეთით მეტეხისა, აღმოსავლეთით ტფილისის სიონის სობორო, ჩრდილოეთით სამთავისისა და სამხრეთით ერთა წმინდისა. ეს ტაძრები დღესაც საუკეთესო სალოცავებია ქართველობაში.

კ. ხერხეულიძე

(დასასრული იქნება)

## თეატრის მატიანე

**თელავი.** წარმოდგენის გამართვა სამკითხველოს სასარგებლოთ. აგერ თითქმის ერთ წელიწადზედ მეტია, რაც თელავის წიგნთ-საცავის სასარგებლოთ არაფერი გამართულა. თელავის სცენის მოყვარეთა ამხანაგობამ ყურადღება მიაქცია ამის უმთავრეს ნაკლულევანებას და გამართეს თელავის თეატრის დარბაზში ქართული წარმოდგენა — თელავის სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „სამშობლოდამ“ პირველი, მესამე და მეოთხე მოქმედება თ. გ. ერისთავისა. მონაწილეობას იღებდნენ: გოშაძე, მატარაძე, ლაგაზიძე, ჩხი-

კვაძე და სხვანი. სვიმონ ლიონიძის როლს ასრულებდა გოშაძე, რომელიც პირველად გამოვიდა სცენაზე და რაც შეეფერება პირველ გამოსვლას კარგათ შეასრულა. ლევან ხიმშიაშვილის როლი მატარაძემ შეასრულა და ისე კარგათ ითამაშა, რომ გეგონებოდათ ბევრჯერ გამოსულა სცენაზე ამ როლშიო. ლაგაზიძემ პირველ მოქმედებაში დადიანის როლი დინჯათ, შესაფერი მიხვრა-მოხვრით და ლაპარაკით შეასრულა, მესამე მოქმედებაში შახის როლი თუმცა კარგათ ითამაშა, მაგრამ ტანისამოსი ვერ ეცვა შესაფერი. ისრაფილის როლი ჩხიკვაძემ კარგათ შეასრულა. აგრეთვე სხვებმაც კარგათ შეასრულეს თავიანთი როლები. ერთი სიტყვით წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. ლიტანიაც კარგი იყო, რომლის დროსაც გალობდნენ მშვენივრად გრძელ წმინდაო ღმერთოს. ამის შემდეგ დადგეს ცოცხალი სურათი „საკირე“, რომელიც გაანათეს „ბენგალსკი“ ცეცხლით და მშვენივრათ მოჩანდა. ბოლო დროს წაიკითხეს ლექსები: „საწყალი გლეხის შვილი ვარ“ ნუცუბაძემ, რომელმაც ისე კარგათ წაიკითხა, რომ მეორედ გაამეორებინეს; აგრეთვე მეორედ გაამეორებინეს „კინტოს სცენა“ თორაძეს, აგრეთვე სხვებმაც კარგათ წაიკითხა და საზოგადოების ტაშის კვრას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ რა ჰყრია ცარიელ ტაშის კვრაში, როცა კასსაში ფული არ იყო. მეტად გულ-გრილად მოექცნენ თელაველები ამ წარმოდგენას.

შემოსავალი ხარჯს გარდა ექვს მანეთამდეა, რომელიც სამკითხველოს გამგეს გადაეცემა; ამ ფულის მიღებისათანავე გამგემ, ცოტაოდენი სხვა ფულიც რომ დაუმატოს და წიგნები გამოიწეროს, ძალიან კარგ საქმე იზამს,—რადგან ქართული წიგნები ძალიან გვესაჭიროება...

თელაველი

## ყურმოკრული საუბარი

ქებული პატიოსნება. მოსამსახურე ოთახს ჰგვიდა და იატაკზე მანეთიანი იპოვა, რომელიც მაშინვე თავის ბატონს გადასცა. ბატონმა უთხრა: „შენის პატიოსნებისათვის შენთვის აიღე“-ო. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონს ოქროს კარანდაში დაეკარგა და როცა ჰკითხა თავისს ბიჭს—ხომ არ გიპოვნიაო, მან უპასუხა: მართალია, ვიპოვნე იატაკზეო და „ჩემის პატიოსნებისათვის ჩემთვის ავიღეო“.

—

მოსამართლესთან.—ბატონო მოსამართლევ, დამიხსენით! მე ცოლისთვის ისე ვმუშაობ, როგორც ხარი და ის-კი ისე მექცევა, როგორც ძაღლს.

— რაკი საქმე ასე ყოფილა, გირჩევთ მიჰმართოთ ამ საჩივრით პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას.

## სხვა-და-სხვა ამბები

კაცურად ჩაცმული დედაკაცი. ლონდონის გაზეთები ერთს უცნაურს ამბავს მოგვითხრობენ. ერთი მოხუცი მღესავი, რომელიც ერთხელ ძლიერ მაღალ სახლს ღესავდა, გადმოვარდა კიბიდან და უგრძნობლად აიყვანეს. გზაზე, როგორც იყო, მოასულიერეს და მან უარი განაცხადა იმაზე, რომ ექიმს გაესინჯა. მაგრამ არ მოუშვნენ და ექიმი მოიყვანეს. დაშავებულმა მოხუცმა მოისურვა ექიმთან მარტოდ დარჩენა. „მე არ მსურდა ყველას შეეტყო ჩემი ვინაობა,—უთხრა ექიმს,—მაგრამ ეხლა იძულებული ვარ გამოვაცხადო, რომ მე ქალი ვარ“. ბოლოს გამოაშკარავდა შემდეგი: ეკატერინე კომბსი დაიბადა 1834 წელს და 1856 წელს მისთხოვდა ერთს მღესავს. ახალ ჯვარ-დაწერილების ცხოვრება ძალიან ცუდათ მოეწყო—ქმარი ჰღალატობდა ცოლს და ერთი წლის შემდეგ ავსტრალიაში გაიქცა, თან ცოლის ძვირფასი ნივთები და თითქმის ტანისამოსიც კი წაიღო; ეკატერინეს მარტო ქმრის დაგლეჯილი სამუშაო ტანისამოსი დარჩა. იმან ჩაიცვა ეს ტანისამოსი, თმები დაიჭრა და წავიდა სამუშაოს საძებნელად. ის შეგირდად მიიღო მისი ქმრის წინანდელმა ოსტატმა. ჩქარა იგი მშვენიერი მღესავი დადგა და შრომის ფასსაც კარგს იღებდა. ორმოც წელიწადს ეკატერინეს ლონდონის დოკებში იცნობდნენ ჩარლ ვილსონის სახელით. მას განზრახვა აქვს, როცა მორჩება, მამაკაცის ტანისამოსი ჩაიცვას და ისევ თავისს წინანდელს ხელობას დაუბრუნდესო.

მ. კ—ძე

## წვრილი ამბავი

გერმანეთის ჟურნალ-გაზეთები თანდათან წარმატებაში შედიან. ამ ჟამად ქ. ბერლინში გამოდის ჟურნალ-გაზეთები 1,700,000 ეგზემპლიარად. ყოველ-დღიური 44 გაზეთია, რომელთა შორის 13 გამოდის დღეში ორჯერ—დილითა და საღამოთი, ხოლო ყოველ-კვირეული და თვიური ჟურნალების რიცხვი 240. სულ მთელს გერმანეთში გამოდის 3,405 სხვა-და-სხვა გაზეთი, ასე რომ ერთი გაზეთი მოდის ოთხს კაცზე, მთელს გერმანეთში ყოველ წლივ იხარჯება 36 მილიონი მარკა (28 მილიონი მანათი) გაზეთებზე.

—

რეპორტიორი ქალი. ცნობილია, რომ ამერიკის რეპორტიორებისთანა მოხერხებული კაცი არსად არ მოიძებნება, მაგრამ თვით ამერიკელ რეპორტიორებმაც-კი ვერა გააწყეს-რა ეხლანდელ ამერიკის პრეზიდენტ მაკ-კინლეისთან, რომელმაც გადაჭრით გამოაცხადა, არას დროს არას ვეტყვი გაზეთის თანამშრომელსაო. ხოლო გაზეთებმა რომ ვერა გააწყეს-რა, მიჰმართეს რეპორტიორ ქალს, რომლის სილამაზე და ახალგაზდური სიკეკლუცე იშვიათი იყო. ეგ რეპორტიორი ქალი მივა თურმე მაკ-კინლეისთან ვითომ-და საქმისათვის. პრეზიდენტი თავაზიანად დაუხვდება და გამოელაპარაკება ახალგაზდა ქალს. ამასობაში რეპორტიორი ქალი ბევრს რასმე გამოჰკითხავს პრეზიდენტს და ბოლოს მისდა შეუმჩნევლად სურათსაც გადიღებს პატარა მანქანით, რომელიც ხელში აქვს ვითომ-და საფულედ. ამ რიგად, რაც ვერ მოახერხა მამაკაცმა, იგი დასძლია თურმე დედაკაცმა.


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

**მარინესი**

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

ფასი ერთი შაური (10—5)

**ეფედრა**

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава kузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—13)

ახლად გახსნილი

**სტამბა „ცნობის ფურცლისა“**

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ

**ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Пурцели“**

В Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

**КЪ ВОПРОСУ**

**О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА**

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—5)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია